

დღეს 9 აპრილია



1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან 31 წელი შესრულდა. ამ დღეს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ნაწილებმა თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს, რასაც 21 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

„31 წლის წინ წინ, 1989 წლის 9 აპრილს, საბჭოთა ჯარმა ჩაიდინა დანაშაული. ეს დანაშაული იყო უდიდესი ტრაგედია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, თუმცა უდიდესი იმედიც და ეს იმედი განხორციელდა უკვე ახარ 9 აპრილს, 1991 წელს, როდესაც ქვეყანამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და ჩვენ დავინწყეთ სახელმწიფოებრიობის მშენებლობა უახლოეს ისტორიაში.

ჩვენ, ჩვენი გმირების ხსოვნას პატივი უნდა მივავით ყოველთვის და რა თქმა უნდა, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მსხვერპრი გაღებული იყო იმისთვის, რომ ჩვენ უნდა შევქმნათ წარმატებული, ეფექტური სახელმწიფო და ეს ბოლო წლები ამ სახელმწიფოს შექმნის პროცესი უნდა იყოს კიდევ და კიდევ ეფექტური და წარმატებული.

მე მინდა, ქედი მოვიხარო, როგორც თითოეული მათგანის მიმართ, ასევე, თითოეულ ჩვენს მოქალაქეს, უკვე ახარ, სხვა ბრძოლაში მოვუწოდო, გვახსოვდეს წარსული, გვახსოვდეს ის ერთიანობის განცდა, რამაც ჩვენ 1989 წლის 9 აპრილიდან მიგვიყვანა 1991 წლის 9 აპრილამდე“, – განაცხადა ვიორგი გახარიაძე.

საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, დიდიდან მოქალაქეები პარლამენტის შენობასთან მიდიან და 9 აპრილს დალუპურთა ხსოვნას პატივს მიაგებენ. თუმცა, გასული წლებისგან განსხვავებით, 9 აპრილის მემორიალთან ხარხმრავლობა არ არის.